ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №10.33/10/022

ქ. თბილისი

10 თებერვალი 2023 წ.

ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი გამგებლის ნიკა ელისაშვილის სახით და მეორეს მხრივ ფიზიკური პირი გიორგი ნაცვალაძე (პ/ნ 01005023832 შემდგომში „მიმწოდებელი“), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“-ს მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

1.1. შესყიდვის ობიექტია - **სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების პროგრამა „ერთიგონი“-თ ფინანსური ბალანსის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ადგილზე გასაწევი საკონსულტაციო და სასწავლო პრაქტიკული** მომსახურება (მ.შ.მობრუნებული საპენსიო თნხების აღრიცხვა, ექსპლუატაციისთვის უვარგისი, ჩამოწერილი აქტივების ბალანსიდან ჩამოწერა) .

1.2. კლასიფიკატორის კოდი: **CPV 72266000** - პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებები.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: **1250,00 (ერთიათასორასორმოცდაათი) ლარს.**

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სავალდებულო გადასახადებს.

2.3 საქართველოს საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის, პირველი პუნქტის, დ) ქვეპუნქტის საფუძველზე, შემსყიდველმა უზრუნველყოს გადახდის წყაროსთან საშემოსავლო გადასახადის დაკავება და შესაბამის ანგარიშზე გადარიცხვა.

3. მომსახურების პირობები

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა: **შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 10 მარტის ჩათვლით.**

3.2 მიმწოდებელმა მომსახურება უნდა განახორციელოს ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად.

3.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია- ქ. თბილისი, ნავთლუღის ქუჩა N8-1, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა.

4. სტანდარტები

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურება დააკმაყოფილებს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განახორციელოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების შესრულების კონტროლი.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობის თანამშრომლები: **თამარ ნავროზაშვილი** - საორგანიზაციო განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი) და **გივი ბულაშვილი** - საბიუჯეტო-საფინანსო და შესყიდვების განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი);

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების განხორციელების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

6.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენენ წინარე ხელშეკრულების 5.2 პუნქტით განსაზღვრული პირები.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ფორმით ლარებში, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯებით.

7.2 ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი)დღის განმავლობაში.

7.3 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

8. ღირებულება

8.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

8.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

8.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

8.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%- ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისა-თვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა `სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

10.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2 %-ის ოდენობით.

10.3 ხელშეკრულების შეუსრულებლობის/არაჯეროვანი შესრულების ან/და ვადაზე ადრე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

10.4 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 10(ათი) კალენდარული დღის ვადაში.

10.5 თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.2 პუნქტის მოთხოვნებს, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, მიმწოდებლისათვის ჩასარიცხი თანხის 0,2%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი;

ბ)თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.4 ამ მუხლის მე-.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ფორსმაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყერების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია. ფორსმაჟორად არ ითვლება მიმწოდებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესება, თუ ეს ჩამოთვლილ მოვლენებთან არ არის დაკავშირებული. ამ დროს მხარეებს შორის ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ თანხაზე ფორსმაჟორის შემთხვევაში გათვალისწინებული შეღავათები არ ვრცელდება.

12.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობას.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს- მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ფარგლებში.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. შეტყობინება

15.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით, სადაც გაგზავნილი შეტყობინება/დაკვეთა ჩაითვლება ოფიციალურ დაკვეთად. შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით. ამასთან ტელეფონით დაკვეთის შემთხვევაში მიმწოდებელს 24 საათის განმავლობაში ჩართული უნდა ჰქონდეს 15.2 პუნქტში მითითებული ტელეფონის ნომრ(ებ)ი.

15.2 ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან/და ფაქსით ურთიერთობისათვის გამოყენებულ იქნება:
ა) მიმწოდებლის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი 514 751751, საკონტ. პირი გიორგი ნაცვალაძე
ბ) შემსყიდველის შემდეგი რეკვიზიტები: ტელეფონის ნომერი 599 163 961; საკონტ. პირი ზვიადი ოქროპირიძე;
15.3 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

16. გადასახადები და დაბეგვრა

16.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი საქონლის წარმოებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.
16.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

18. სხვა პირობები

18.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
18.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.
18.3 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
18.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

19. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

ქ. თბილისის ისნის მუნიციპალიტეტის
რაიონის გამგეობა
ს/კ 208204959
ნავთლუღის ქუჩა N8-1
ქ. თბილისი, სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი TRESGE22

„მიმწოდებელი"

ფ/პ გიორგი ნაცვალაძე "
მის. თბილისი, ლეხ კაჩინსკის ქ N9
ბანკი: სს „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი TBCBGE22
ა/ა GE39TB73 3894 5061 1000 17
ს/კოდი: 01005023832
ტელ: 514 751 751

გამგებელი ---------- ნიკა ელისაშვილი

ISANI DISTRICT BOARD OF CITY TBILISI
Digitally signed by ISANI DISTRICT BOARD OF CITY TBILISI
Date: 2023.02.13 15:05:05 +04'00'

ფ/პ---------- გიორგი ნაცვალაძე

Giorgi Natsvaladze 01005023832
Digitally signed by Giorgi Natsvaladze
Date: 2023.02.13 13:29:56

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

10 თებერვალი 2023 წელი

ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობის მიერ 2023 წლის 10 თებერვლის №10.33/10/022 ხელშეკრულებით გათვალისწინებული **სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების პროგრამის საკითხებზე, ადგილზე გასაწევი საკონსულტაციო და სასწავლო პრაქტიკული მომსახურება,** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების განყოფილებისათვის (CPVკოდი - 72266000) სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან (ფ/პირი: გიორგი ნაცვალაძე - პ/ნ01005023832) ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით:

ხელშეკრულების გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირი:

ნიკა ელისაშვილი ----------

ხელშეკრულების შესრულებასა და
კონტროლზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი:

თამარ ნავროზაშვილი ----------

გივი ბულაშვილი ----------